

# ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

თბილისი  
გთუნი



## გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

### ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს დადგენილება (ოქმი N4. 10.12.2018)

#### შესავალი

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში “გთუნი“) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ბოლონიის დიდი ქარტიით (Magna Charta), ლისაბონის კონვენციით გამოხატული პრინციპებით, საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით, რაც ითვალისწინებს დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს, მათ შორის განათლების, კვლევისა და ტექნოლოგიების, დასაქმებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოდერნიზებასა და ევროპული სტანდარტების დანერგვას.

გთუნი თავის საქმიანობას წარმართავს ბოლონიის პროცესის ინსტრუმენტებით (კვალიფიკაციათა ჩარჩო, სწავლის შედეგები, აღიარება, დიპლომის დანართი, ECTS, ESG), ამასთან მოწოდებულია გააძლიეროს ძალისხმევა სასწავლო დაწესებულების მეტი ინტერნაციონალიზაციისთვის, რაც წარმოადგენს გთუნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ასპექტს.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა საერთო საუნივერსიტეო სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია და გამომდინარეობს გთუნის ხედვისა და მისიისაგან.

#### 1. გთუნის მიდგომები ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის მიმართ

ბოლო წლების განმავლობაში ინტერნაციონალიზაცია პროაქტიურ მიზნად იქცა ყველა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისათვის, მათ შორის გთუნისთვისაც, შესაბამისად გთუნის ჩამოყალიბებული აქვს სკუთარი მიდგომები ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის მიმართ, კერძოდ:

- გთუნი აცნობიერებს, რომ მისი საქმიანობა არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონულ და გლობალურ პერსპექტივებზე უნდა იყოს ორიენტირებული;
- უაღრესდა კონკურენტულ საგანმანათლებლო გარემოში წარმატების საწინდარი დაწესებულების ინტერნაციონალიზაციაა;
- გთუნისთვის ინტერნაციონალიზაცია არის კომპლექსური ცნება და გულისხმობს მთელი ინსტიტუციის (მისი პროგრამების, კურსების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების თვალთახედვის, გარემოს, მომსახურების) ინტერნაციონალიზაციას;
- ინტერნაციონალიზაცია გთუნის საქმიანობის უწყვეტი და განგრძობადი პროცესია, რაც ხელს შეუწყობს მის ინტეგრირებას საუნივერსიტეო საქმიანობის ყველა ასპექტში, რათა გთუნის

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა იქცეს საერთო საუნივერსიტეტო მიზნად და ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი მონაწილე იყოს ჩართული;


- გთუნისთვის ინტერნაციონალიზაცია არის საშუალება, მეთოდი და მექანიზმი, რომლითაც საუნივერსიტეტო საქმიანობა დაუკავშირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო - სამეცნიერო სისტემას; გაზრდის გთუნის კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის კონკურენტუნარიანობას, ხელს შეუწყობს მათ წარმატებას და პროფესიულ განვითარებას;
- ინტერნაციონალიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედებები კონტექსტუალიზებული უნდა იყოს სასწავლო დაწესებულებების შიდა სპეციფიკას, ტიპსა და პროფილთან;
- ინტერნაციონალიზაციას გთუნი განიხილავს, როგორც სამომავლო ინვესტიციას, რომელიც მოითხოვს ხანგრძლივადიანი და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავებას და ვალდებულებების შესრულებას სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და პარტნიორების მხრიდან.

## 2. პასუხისმგებლობა

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაზე და დამტკიცებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოები.
- ინტერნაციონალიზაციის პროცედურების განხორციელებაზე, თავის კომპეტენციების ფარგლებში, პასუხისმგებელია: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება; ფაკულტეტის დეკანატები; უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული.
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავების და შეფასების პროცესებს ხელმძღვანელობს პრორექტორი; პოლიტიკისა და პროცედურების იმპლემენტაციას კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება.

## 3. გთუნის ინტერნაციონალიზაციის გრძელვადიანი მიზნები

- გთუნის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ვრცელდება საუნივერსიტეტო საქმიანობის ძირითად სფეროებზე, რაც ასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში.
- ინტერნაციონალიზაციის მიზნები, რომელთა განვითარებაზეც ზრუნავს უნივერსიტეტი, შემდეგია:



- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის თითოეული მიზანი განიხილება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ამოცანების ჭრილში.

#### **4. ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია**

გთუნი ინსტიტუციურ პარტნიორობას განიხილავს როგორც შესაძლებლობას და საშუალებას რათა მოახდინოს საუნივერსიტეტო საზოგადოების მეტი ინტეგრაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში, რაც მართვის პროცესების მოდერნიზაციასთან არის დაკავშირებული.

#### **ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი**

##### **ამოცანები: 4.1. მოკლევადიანი ამოცანები:**

- ინსტიტუციური პარტნიორობის ქსელის განვითარება ორგანიზაციული მართვის კონტექსტში;
- მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლა, ანალიზი;
- მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა;
- ეფექტიანი ღონისძიებების დასახვა-განხორციელება, საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში გთუნის ცნობადობის და ავტორიტეტის ამაღლების მიზნით;
- საერთაშორისო კავშირების თანმიმდევრული განახლება-გაფართოება-გაღრმავება, გთუნისთვის პრიორიტეტული უნივერსიტეტების შერჩევით;
- საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება/განვითარება ფაკულტეტების/დეკანატების საჭიროებების გათვალისწინებით;
- გთუნის ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა სასწავლო პროცესის, პერსონალის, სამეცნიერო საქმიანობის, სტუდენტური სერვისების მართვის საკითხებში; უცხოეთის უნივერსიტეტებთან მიზნობრივი კავშირების დამყარება ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლის მიზნით;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება.

##### **4.2. გრძელვადიანი ამოცანები:**

- ორგანიზაციული მართვის მოდერნიზაცია;
- არსებულ პარტნიორობთან საგანმანათლებლო თანამშრომლობის ასპექტების მეტი აქტუალიზაცია;
- აქტივობების ზრდა საერთაშორისო პროექტებში, პროგრამებში ჩართვისათვის; ამ მიზნით აქტიური თანამშრომლობა მსხვილ დონორ ორგანიზაციებთან, რომელთაც გააჩნიათ პროექტები უმაღლესი სასწავლებლებისათვის, Erasmus+; Horizon 2020, Jan Monet, NATO; GIZ; USAID; Millenium Chalange Corporation (MCA Georgia); Volkswagen Foundation, British Council; DAAD; CEU; etc
- უწყვეტი განათლების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის, რომელიც მოიცავს სტუდენტებს, პერსონალს, კურსდამთავრებულებს, პარტნიორებს;
- სხვადასხვა აკადემიურ-სამეცნიერო ასოციაციებში გაწევრიანების ხელშეწყობა;
- განათლების საერთაშორისო გამოფენებში, ფესტივალებში, ფორუმებში და სხვა. მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო მობილობა;
- უცხოელი სტუდენტები გთუნის პროგრამებზე.

#### **5. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარება**

საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია გთუნისთვის წარმოადგენს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პიროვნული პოტენციალის სრულად რეალიზების ხელისშემწყობ საქმიანობას და მეორეს მხრივ კი როგორც ინსტრუმენტს, რომელიც მოახდენს თავად უნივერსიტეტის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო

სფეროში მიმდინარე პროცესებში. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნის მისაღწევად გთუნი განახორციელებს საქმიანობას ორი - აკადემიური და სამეცნიერო მიმართულებებით, რაც, ერთი მხრივ, განუყოფელი მიზანია, მეორე მხრივ, მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს და განსახორციელებელ ამოცანებს.

#### **ამოცანები:**

##### **5.1. აკადემიური მიმართულებით განსახორციელებელი მოკლევადიანი ამოცანებია:**

- თანამშრომელთა მიერ უცხოური ენის შესწავლის ან /და უცხოურ ენაში კვალიფიკაციის ამაღლების ყოველმხრივი წახალისება და ხელშეწყობა;
- პარტნიორი უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილების გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესის ორგანიზებასა და მართვაში;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა სწავლების თანამედროვე მეთოდების საერთაშორისო ტრენდებში;
- აკადემიური მობილობის ზრდის ხელშეწყობა;
- ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპონენტის გაზრდა: სილაბუსების ნაწილში ინგლისურენოვანი ლიტერატურის/რესურსების გათვალისწინებისა და აქტიური გამოყენების, სალექციო/სასემინარო მუშაობის გარკვეული ნაწილის ინგლისურ ენაზე ჩატარების, არჩევითი ინგლისურენოვანი კურსების შემოტანისა და პოპულარიზაციის, სასწავლო კურსის ფარგლებში ინგლისურენოვანი სასწავლო ღონისძიებების ჩატარების, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სასწავლო/კვლევით პროცესში აქტიურად გამოყენების კუთხით
- 30 კრედიტიანი მოდულების მომზადება ერაზმუსის სტუდენტებისათვის სამართლის, ტურიზმის, ბიზნესის ადინისტრირების, ჟურნალისტიკის მიმართულებით; შემდგომ ეტაპად კი უცხოურენოვანი პროგრამების მომზადებისთვის ზრუნვა.

##### **5.2. აკადემიური მიმართულებით განსახორციელებელი გრძელვადიანი ამოცანებია:**

- ზრუნვა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ეტაპობრივად მომზადებისა და განხორციელებისთვის;
- უცხოელი სპეციალისტების მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნის სწავლა-სწავლების პროცესში;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიის ბაზაზე და მათი მომსახურების ტაქტიკის შემუშავება;
- უცხოურენოვანი კურსების, მოდულების, პროგრამების შექმნის შემდგომ, მათში გთუნის სტუდენტების ჩართვა და მათთვის დამატებითი შესაძლებლობების გაჩენა.

##### **5.3. სამეცნიერო მიმართულებით განსახორციელებელი მოკლევადიანი ამოცანებია:**

- მეცნიერების თანამედროვე, საერთაშორისო მიღწევების, ტრენდების, ხედვების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ღონისძიებების სისტემატური გატარება;
- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოება-გაღრმავება კვლევითი პროექტების ფარგლებში;
- საერთაშორისო კონფერენციებში, სტაჟირებებში, სემინარებში გთუნის აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის პარტნიორების მოძიებაზე ზრუნვა;

##### **5.4. სამეცნიერო მიმართულებით განსახორციელებელი გრძელვადიანი ამოცანებია:**

- უცხოელი, მეცნიერების, ექსპერტების მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნის სამეცნიერო საქმიანობაში;

- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო პუბლიკაციების, ელექტრონული ჟურნალებისა და მონაცემთა ბაზების გაზრდა და მეტი ხელმისაწვდომობა;
- ციტირებისა და იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლების ზრდა.

**6. სტუდენტთა ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრება და მომზადება აქტიურობისთვის გლობალიზებულ გარემოში.**

გთუნი იზრუნებს სტუდენტის ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრებისათვის, რათა ის მზად იყოს აქტიურობისთვის გლობალიზებულ გარემოში, რაც ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანია. ამ მიზნის განხორციელება სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს წვდომა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ცოდნაზე, კვალიფიცირებულ კადრებზე, რესურსებზე და სერვისებზე; მიაღწიოს წარმატებას გლობალიზებულ გარემოში.

**ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანებია:**

**მოკლევადიანი ამოცანები:**

- ინგლისური ენის სწავლების და სწავლის მეთოდების, ხერხების, შედეგზე ორიენტირებისა და ეფექტიანობის გაანალიზება; მეტი ეფექტიანი ღონისძიების გატარება სტუდენტთა მოტივირებისა და ენის ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებისათვის;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების შესახებ, სტუდენტთა საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- ინტერკულტურული ტრენინგების ჩატარება და სტუდენტთა კურიკულუმს გარე აქტივობების მეტი ინტერნაციონალიზაცია;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის პოსტ-მობილობის ანგარიშების სისტემის განვითარება.

**გრძელვადიანი მიზნებია:**

- სტუდენტების მობილობის ზრდის ხელშეწყობა Erasmus+ და სხვა შესაძლებლობების გამოყენებით;
- სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

**7. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის პროცედურა**

**7.1. პროცედურის მიზანი**

საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის მონაწილეობის პროცედურის (შემდეგში - „პროცედურა“) მიზანია უზრუნველყოფს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის მონაწილეობა.

**7.2. პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა**

პროცედურის წარმრთვასა და სამუშაოთა განხორციელების კოორდინაციაზე პასუხისმგებელია გთუნი-ს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება, რისთვისაც იგი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტებთან, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრორექტორის და რექტორის წინაშე.

### 7.3. პროცედურის განხორციელების წესები და ვადები

- საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის ჩართვა ხდება ღია კონკურსის საშუალებით.
- კონკურსის წესებს განსაზღვრავს გაცვლითი პროგრამის განმახორციელებელი საერთაშორისო ორგანიზაციის /ინსტიტუციის/უსდ-ს პროექტის მმართველი რგოლი, ხოლო გთუნის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება უზრუნველყოფს ამ წესების განხორციელებასა და სამუშაოთა კოორდინაციას.

### 7.4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს;
- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს;
- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს;

### 7.5. კონკურსის გამოცხადება

- კონკურსი ცხადდება გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრისათვის, თუ სხვა თარიღები არ არის განსაზღვრული პროგრამის განმახორციელებელი საერთაშორისო ორგანიზაციის /ინსტიტუციის/უსდ-ს მიერ.
- კონკურსის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება გთუნს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას. რომელიც აქვეყნებს მას ყველა საუნივერსიტეტო საინფორმაციო არხის საშუალებით.

### 8. კონკურსის პირობები

#### 8.1. საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება:

- ატარებს საინფორმაციო შეხვედრას აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, აცნობს მათ სავიზო და ბინადრობასთან დაკავშირებულ რეგულაციებს;
- საკონკურსო ვადებში კონკურსანტების მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა ხდება გთუნის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებაში.

#### 8.2. კონკურსის წესების შესაბამისად კონკურსანტები წარადგენენ შემდეგ დოკუმენტებს:

- დიპლომის ქსეროასლი (მაგისტრებისთვის);
- სამოტივაციო წერილი;
- ენის შეფასების ფურცელი/სერთიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ცნობა უნივერსიტეტიდან ხოლო ის სტუდენტები, რომლებიც მიდიან ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელია TOEFL ან IELTS ტესტის ჩაბარება.
- CV (სასურველია Europass ფორმატის);
- სარეკომენდაციო წერილი გაცემული უშუალოდ საგნის პროფესორის მიერ (1 ან 2)
- მოწვევის წერილი მასპინძელი უნივერსიტეტიდან (პერსონალისთვის);

#### 8.3. პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის ინდივიდუალური გაცვლის შემთხვევაში, საკონკურსო კრიტერიუმებია:

- მაღალი აკადემიური მოსწრება;
- ინგლისური ენის ცოდნა B1-B2 დონეზე (ენის ცოდნა შემოწმდება საუნივერსიტეტო შიდა გამოცდით ინგლისურ ენაში);
- სხვა უნარები და მიღწევები (კონფერენციებში, ტრენინგებში, მასტერ კლასებში, საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობა და სხვა).

## 9. კონკურსის ჩატარების ეტაპები:

### 9.1. I ეტაპი: საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა:

წარმოსადგენი დოკუმენტები:

- განცხადება მონაწილეობის შესახებ (განცხადების ფორმის შესაბამისად);
- CV ქართულ და ინგლისურ ენებზე (სასურველია Europass-ის ფორმატით);
- პროგრამაში მონაწილეობის სამოტივაციო წერილი (ქართულად და ინგლისურად);
- აკადემიური ცნობა;
- დახასიათება (გაიცემა შესაბამისი კათედრის მიერ);
- რეკომენდაცია (გაიცემა შესაბამისი ფაკულტეტის მიერ);
- კონფერენციებში, ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები და/ან სერტიფიკატები (არსებობის შემთხვევაში).

### 9.2. II ეტაპი: ტესტირება ინგლისურ ენაში;

### 9.3. III ეტაპზე გადასულ სტუდენტებს ევალებათ:

- წარმოადგინონ მაქსიმუმ 20 წუთიანი პრეზენტაციები (Power Point-ში, ინგლისურ ენაზე);
- თემა: საქართველო და მიმღები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ასპექტები (10 წთ.)
- შერჩეული თემა სპეციალობის მიხედვით (10 წთ.)

იქმნება საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- გთუნ-ს რექტორი;
- გთუნ-ს პარტნიორთა კრების თავმჯდომარე;
- გთუნ-ს პრორექტორი;
- გთუნ-ს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების ხელ-ლი;
- გთუნ-ს უცხო ენების ცენტრის ხელ-ლი;
- გთუნ-ს შესაბამისი ფაკულტეტ(ებ)ის დეკან(ებ)ი.

## 10. სასწავლო ხელშეკრულება

### 10.1. გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა სავალდებულოა, წარდგენილ იქნეს:

- სტუდენტებისათვის სასწავლო ხელშეკრულება (LA) სასწავლო ხელშეკრულებაში ცალკე სვეტში იწერება მშობლიურ უნივერსიტეტში ასათვისებელი კურსების სია, მეორე სვეტში კი მასპინძელ უნივერსიტეტში ასათვისებელი კურსები (მინიმალური თანხვედრა ერთ სემესტრში 15კრედიტი). სასწავლო ხელშეკრულებას ხელს აწერს პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
- სასწავლო ხელშეკრულების შედგენა ხდება მობილობამდე. მობილობის პერიოდში შესაძლებელია მისი მოდიფიცირება თუ განხორციელდა რომელიმე კურსის ცვლილება.

### 11. მიღებული განათლების აღიარება

11.1. სტუდენტის დაბრუნების შემდეგომ მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" შესაბამისად. (<http://eqe.ge/geo/static/101/Recognition-of-Education/validation>).

11.2. მიღებული განათლების აღიარების შემდეგ მისი ასახვა შესაბამისად მოხდება დიპლომის დანართში.



**რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს:**

- სწავლების ხელშეკრულება/გეგმა (Teaching Agreement). რომელსაც ამოწმებს მიმღები უნივერსიტეტი.
- დაბრუნების შემდეგ აკადემიური პერსონალი ატარებს მოხსენებას მიღებული გამოცდილების და მიღწეული შედეგების შესახებ.
- საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება პასუხისმგებელია გთუნის ენათა ცენტრთან ერთად უცხო ენის გამოცდის ორგანიზებაზე (საჭიროების შემთხვევაში);
- ასიმეტრიული გაცვლის პირობებში, ანალოგიური მოთხოვნები ვრცელდება გთუნი-ში პარტნიორი უნივერსიტეტიდან მხოლოდ გაცვლითი პროფესორის სტატუსით ჩამოსულ პერსონალზე.

**12. საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის განვითარების მექანიზმები და პროცედურა**

საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ახალი შესაძლებლობების ინიცირების მექანიზმი და პროცედურა მოიცავს:

**12.1. ახალი თანამშრომლობის შესაძლებლობების მოძიებასა და წარდგენას:**

- ახალი თანამშრომლობის შესაძლებლობების მოძიება ხდება როგორც ფაკულტეტების ინიციატივით, ისე საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების მიერ;
- ინიციატივის განხილვა, საუნივერსიტეტოს მისაიასთან და სტრატეგიასთან შესაბამისობისა და მიზანშეწონილობის განსაზღვრა ხდება პრორექტორისა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების მიერ;
- საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ინიციატივა წარედგინება რექტორს. რექტორის მიერ მოწონებული ინიციატივის იმპლემენტაცია ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით.

**13. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შეფასება**

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გთუნის სტრატეგიული განვითარების განუყოფელი ნაწილია, ამდენად მისი განხორციელების შესაფასებლად გთუნი ეფუძნება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების წესს, ფორმატს მეთოდებს და ინდიკატორებს. მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს მონიტორინგის და შეფასების ჯგუფი საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებასთან ერთად და ტარდება ყოველწლიურად, დოკუმენტის „საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის განხორციელების მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასების ანალიზი“ საფუძველზე.

მონიტორინგი და შეფასება მოიცავს უკუკავშირის ეტაპს, რაც იმას ნიშნავს, რომ:

- ანგარიშის საფუძველზე უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად;
- მოხდეს პოლიტიკის კორექტირება;
- შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში ან/და სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს რეკომენდაციები.

**14. საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები**

14.1. საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასება ეფუძნება შემდეგ ინდიკატორებს:

- საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის ზრდის ინტენსიურობა და ხარისხი;

- სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის დინამიკა;
- საერთაშორისო კვლევითი და აკადემიური სტანდარტების დამკვიდრების ხარისხი.
- ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შესახებ სტუდენტების და პერსონალის ინფორმირებულობა და მათი გამოყენების ხარისხი (ყოველწლიური გამოკითხვა/ მონიტორინგის შედეგები).